ხელშეკრულება №6
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
(სამეცნიერო-ტექნიკური პროდუქციის მომსახურებაზე)

ქ. ახალციხე **06 იანვარი 2012 წელი**

ერთის მხრივ, **სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია ადიგენის, ასპინძის, ახალციხის, ახალქალაქის, ბორჯომისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტებში**, (ს/ნ 224067961, სახელმწიფო ხაზინა, ანგარიშის №200122900, კოდი TRESGE22, მისამართი 0800, ქ. ახალციხე, შალვა ახალციხელის ქ.№2) წარმოდგენილი სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის **ლაშა ჭკადუას** სახით, (შემდგომში **„შემსყიდველი“**) და მეორეს მხრივ, **შპს „ჯორჯიან მიკროსისტემს“** (ს/ნ 202268517, „პროკრედიტ ბანკი“-ს ც/ფ, ბანკის კოდი MIBGGE22, ა/ანგარიშის №360201012900209; მისამართი: ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. №4.), მისი დირექტორის **არჩილ მაისურაძის** სახით (შემდგომში **„მიმწოდებელი“**), ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას სახელმწიფო შესყიდვების შესახებ.

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანია სახელმწიფო ბიუჯეტიდან სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაციისათვის გამოყოფილი სახსრებით ხელშეკრულების ძალაში შესვლის დღიდან მისი მოქმედების მანძილზე საინფორმაციო-საძიებო კომპიუტერული სისტემა „კოდექსი“-ს მიმდინარე განახლება.

2. შესყიდვის ობიექტი

2.1. შესყიდვის ობიექტია საინფორმაციო-საძიებო კომპიუტერული სისტემა „კოდექსი 2007“ (ინდივიდუალური ვერსია) მონაცემთა ბაზით. „კოდექსი“ რეალიზირებულია ოპერატიულ სისტემა WINDOWS-XP/VISTA-ში. (CPV კოდი 48600000) (შემდგომში **„მომსახურება“**).

2.2. კოდექსი მოიცავს მიმდინარე თარიღისათვის მიღებულ და მოქმედ:

- საქართველოს პრეზიდენტის, პარლამენტის, საქართველოს მთავრობის და სხვა სახელმწიფო დაწესებულებების ნორმატიულ აქტებს (დადგენილებები, ინსტრუქციები, დებულებები, მითითებები, წერილები, პოსტპროგრამები და ა.შ.);

-საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის, მინისტრთა საბჭოს, მინისტრტა კაბინეტის ძირითად დადგენილებებს;

-საქართველოს კონსტიტუციური სასამართლოს განჩინებებს და გადაწყვეტილებებს;

-საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლეის მიერ დადებულ და რატიფიცირებულ საერთაშორისო ხელშეკრულებებს.

2.3. ინფორმაციული ბაზის მოცულობა შეადგენს 2,6 გიგაბაიტს.

3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 480 (ოთხასოთხმოცი) ლარს.

3.2. მონაცემთა ბაზის ინფორმაციული განახლება, ხელშეკრულების ძალაში შესვლის დღიდან, ანაზღაურდება ყოველი კვარტლის ბოლოს 120 (ას ოცი) ლარის ოდენობით.

3.3. დამატებითის ახალი კომპიუტერზე, სისტემა კოდექსის“ ინსტალაციების შემთხვევაში ინფორმაციული განახლების ანაზღაურება გაიზრდება თვეში 10 ლარის ოდენობით (სულ ჯამში 30 ლარით).

„შემსყიდველი“ ---------- „მიმწოდებელი“ ----------

3.4. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.

4. მომსახურების ხარისხი და გარანტია

4.1. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, რომ გაწეული მომსახურების ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.

4.2. შესყიდვის ობიექტის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ამ სფეროში არსებულ სტანდარტებს და ტექნიკურ ნორმებს.

5. მომსახურების მიწოდების ადგილი და ვადები

5.1. მომსახურების მიწოდების ვადა განისაზღვრება განისაზღვრება 2012 წლის 1 იანვრიდან 2012 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

5.2. მომსახურების მიწოდების ადგილია: ქ. ახალციხე, შალვა ახალციხელის ქ. №2

5.3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს შემსყიდველისათვის თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა (სასაქონლო ზედნადები/საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა).

6. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

6.1. მომსახურების გაწევა ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დადასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლის/წარმომადგენლების ხელმოწერებით.

6.2. მომსახურების გაწევა მიღებულად მხოლოდ მიღება - ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ. მიმწოდებელი შემსყიდველს წარუდგენს მიღება-ჩაბარების აქტს ამ ხელშეკრულების მიხედვით გათვალისწინებული მომსახურების დასტურად.

6.3. მომსახურება დასრულებულად ჩაითვლება მიღება - ჩაბარების აქტის ხელმოწერის დღიდან.

7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1 შემსყიდველს ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელონ კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე, რათა დარწმუნდნენ მათ შესაბამისობაში ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან. შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებენ სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაციის საფინანსო-სამეურნეო სამსახურის თანამშრომლები.

7.2 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

8. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

8.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში უნაღდო ანგარიშსწორების წესით.

8.2. მომსახურების ღირებულების ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება ეტაპობრივად, მომსახურების გაწევისა და წინამდებარე ხელშეკრულების 5.3. და 6.1. პუნქტებში მითითებული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ არაუმეტეს 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში.

9. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

9.1. შემსყიდველს უფლებამოსილია განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის კონტროლი.

9.2. შემსყიდველს ვალდებულია უზრუნველყოს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

9.3. შემსყიდველი ვალდებულია დაიცვას საინფორმაციო-საძიებო სისტემა „კოდექსი“ არასანქცირებული გამრავლებისაგან.

9.4. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

9.5. მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს კოდექსის განახლების ფაილები დამკვეთს, internet-ის საშუალებით ახალი საკანონმდებლო და ნორმატიული აქტების მიღების შესაბამისად დამკვეთის მიერ წარმოდგენილი ელ.ფოსტის შემდეგ მისამართზე: s.j.gubernia@gmail.com;

9.6. მიმწოდებელი ვალდებულია გაუწიოს სათანადო ხარისხის მომსახურება.

10. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

10.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა ან არაჯეროვნად შესრულება გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

10.2. თითოეული მხარე ვალდებულია ნაკისრი ვალდებულება შეასრულოს დადგენილი წესით, შეთანხმების ფარგლებში, ამათგან თითოეულმა მხარემ ხელი უნდა შეუწყოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულების შესრულებაში. მხარე, რომელიც არღვევს ნაკისრ ვალდებულებას, ვალდებულია დაუყონებლივ იზრუნოს მის აღმოფხვრაზე.

10.3. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

10.4. ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

10.5. ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

11. ხელშეკრულების ძალაში შესვლა და მოქმედების ვადები

11.1. ხელშეკრულება ძალაში შედის 2012 წლის 1 იანვრიდან და მოქმედებს 2012 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

12. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

12.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

11.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელსეკრულების განუყოფელ ნაწილად.

13. ფორს-მაჟორი

13.1. მხარეები [illegible] პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ [illegible]ულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეული [illegible] გარემოებებით, [illegible] წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, [illegible] ომები [illegible] სამხედრო მოქმედებები, თუ [illegible] ზემოქმედებას [illegible] ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების

შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

13.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

13.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

14 დავები და მათი გადაწყვეტის წესი

14.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

14.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

15. სხვა პირობები

15.1. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

15.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

15.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

15.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ოთხ გვერდზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

15.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი:

სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაცია, ადიგენის, ასპინძის, ახალციხის, ახალქალაქის, ბორჯომისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტებში

ქ. ახალციხე, შალვა ახალციხელის ქ. №2
ს/ნ 224067961, სახელმწიფო ხაზინა,
კოდი – TRESGE22; ა/ნ 200122900;

სახელმწიფო რწმუნებული - გუბერნატორი

ლაშა ჭკადუა

ბ.ა.

მიმწოდებელი:

შპს „ჯორჯიან მიკროსისტემს“

ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. №4
საიდენტიფიკაციო ნომერი 202268517,
„პროკრედიტ ბანკი“-ს ც/ფ,
ბანკის კოდი MIBGGE22,
ა/ანგარიშის №360201012900209;
ტელ: (+99532) 921554.

შპს „ჯორჯიან მიკროსისტემს“-ის დირექტორი

არჩილ მაისურაძე

ბ.ა.